საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი

MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

LEPL Center For Crime Prevention

KA010155135995214

საქართველო, ქ.თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24ა. ტელ.: 2 405 942; 2 405 866
24a Gorgasali str., 0114, Tbilisi, Georgia. Tel.: 2 405 942; 2 405 866

№549

05 / დეკემბერი / 2014 წ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის დირექტორს, ბატონ გიორგი
კლდიაშვილს (მისამართი: თბილისი, ალ.
გრიბოედოვის ქ. #3, ტელ: +995322921514)

ბატონო გიორგი,

თქვენი 2014 წლის 4 ნოემბრის №11/14-086 წერილის (სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრში" რეგისტრაციის №01/17923, 10.11.2014) პასუხად გაცნობებთ, რომ იმ ბენეფიციარების რაოდენობა, რომლებმაც თქვენ მიერ მითითებულ პერიოდში მომართეს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრს და რომლებიც თავს თვლიდნენ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, აგრეთვე წამების მუქარის მსხვერპლებად, შეადგენს 65-ს.

ბენეფიციარების აღნიშნული რაოდენობიდან ყველა მათგანს, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, გაეწია შესაბამისი დახმარება. მნიშვნელოვანია ის, რომ თითოეულ ბენეფიციართან ინდივიდუალურად მუშაობდნენ სოციალური მუშაკები და ინდივიდუალური მუშაობის შედეგად გამოკვეთილ იქნა სხვადასხვა საჭიროებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, დამატებით გაწვდით იმ მომსახურებების შესახებ ინფორმაციას, რომლითაც ისარგებლეს ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართულმა ყოფილმა პატიმრებმა. ამასთან, ბენეფიციარებს დახმარება გაეწიათ ცენტრში არსებული რესურსით და პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, კერძოდ:

- მოუგვარდათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები (მათ შორის ქირურგიული მომსახურება, სტომატოლოგიური სერვისი და სხვა);
- გადაეცათ უფასო მედიკამენტები;
- მიიღეს ფსიქოლოგის და ფსიქიატრის მომსახურება;

- უფასოდ დაუმზადდათ ID ბარათი;

- დაუფინანსდათ მცირე ბიზნესი;
- გაეწიათ უფასო იურიდიული კონსულტაცია;
- ჩართულები იყვნენ სოციალური უნარების განვითარების და აგრესიისა და კონფლიქტის მართვის ტრეინინგებში;
- დასაქმებაში ხელშეწყობა.

პატივისცემით,

ცენტრის დირექტორი ჯონი კვინიკაძე